ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 198

"1" ივნისი 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან ხაბეიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ." ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მე-6 მუხლის მეორე პუნქტისა და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის საკრებულომ დაადგინა:

1. ლევან ხაბეიშვილს ვადამდე შეუწყდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2021 წლის 1 ივნისიდან.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე